

572  
1981

# საბავშვო საგაზეთო საქართველო

1981  
საბავშვო  
საგაზეთო  
საქართველო  
N4

ISSN 0132-6985

საქართველოს  
საბავშვო  
საგაზეთო  
საქართველო





# მაცოცხრელაქი ქსეპისიან ყვილოქს




დელეგატებო, მოფურინაზე  
თქვენსკენ გამლილი ფრთებით,  
ჯერ ჰირველ კლასში დედეივართ,  
ჰირველ ურილობას გხვდებით.

შვილიშვილებსა და შვილებს  
არ მოკვწუნდებო სწავლა,  
ტანად თუ ჰატარებო ვართ,  
უსაქმურებო არ ვართ.

ჩვენ ოცნებებო გვამშვენებს—  
გვინდა დიდებად ვიქცეთ,  
რომ ჩვენს საუვარულ სამშობლოს  
შეტი დოვლათი მივცეთ.



აი, ახი მიზართს თქვენმა თანატოლებმა  
პარტიის ყრილობას მოსძოვებო.



ეს იყო ოცი წლის წინათ.

კოსმოდრომზე, ასაფრენად გამზადებული რაკეტის კართან იდგა იური გაგარინი... აი, ის კოსმოსური ხომალდის "ვოსტოკის" კაბინაში ავიდა...

სოტაც და გაისმა ძრავების კეკა-გრილი, რადიოში კი—გაგარინის მზიარული შემახილი „წაფე-ლი-ით“!.. რაკეტა მიწას მოწყდა. ცეცხლოვანი კვალი გაავლო ცაზე და მალე დედამიწის ორბიტაზე გაიქრა...

ასრულდა ადამიანების ძალიან, ძალიან დიდი ხნის ოცნება — ვარსკვლავეთისკენ გაკვალულ ბილიკზე პირველად შედგა ფეხი ადამიანმა... დაბლა დარჩა დედამიწა—ჩვენი მშობლიური, ჩვენი საყვარელი მიწა, რომელიც უსასრულო სამყაროს ერთ-ერთი ვარსკვლავია...

— რა სილამაზეა! — აღ-

# შენი სპა

## კოსმოდრომიდან


მოხდა იური გაგარინს მის დანახვაზე.

სულ საათნახევარი არც კი იყო გასული, რომ პირველი კოსმონავტი კოსმოსიდან დედამიწაზე დაბრუნდა... მას შემდეგ კოსმოსში ფრენას გაეჩვია ადამიანი... 1980 წელს ორმა საბჭოთა კოსმონავტმა ნახევარ წელიწადზე მეტი ხანი გაატარა ორბიტაზე... ამერიკელები მთვარეზეც აფრინდნენ...

ერთი სიტყვით, ვარსკვლავებს ეტანება ადამიანი... გავა დრო, და ვინ იცის, იქნებ თქვენგან რომელიმე პირისპირაც კი შეხედეს ცისკრის ვარსკვლავს, რომელიც ახლა ასე შორეული და მიუწვდომელი გეჩვენებათ.

ვინ იცის!  
ჩვენ კი...  
„ჩვენ დღესვე გვესმის აშკარად  
შენი ფეხის სპა კოსმოდრომისკენ!“

16.769





# ლიონეზი

როცა ბავშვებმა საუზმეზე თავი მოიყარეს, საბავშვო სახლის აღმზრდელმა დეიდა ანამ გამოაცხადა:

— სინყნარე, ბავშვებო!

სასადილოში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბავშვებო! — საზეიმო კილოთი განაგრძობ ანა სიმონის ასულმა, — დღეს თქვენ ლიმონიან ჩაის დალევთ! სადილზე კი ლიმონის კისელი გექნებათ! ვინ იცის, რა არის ლიმონი?

ბავშვები დუმდნენ. ზოგიერთს უფროსებისაგან რაღაც ჰქონდა განაგონი ამ უცხო ხილზე, მაგრამ არასოდეს არამცთუ არ ეგებნათ, თვალითაც არ ენახათ.

ათას ცხრაას ცხრამეტი წლის გაზაფხული იდგა, მკაცრი ომის, შიმშილისა და ნგრევის წელი, როდესაც პურიც კი არ იყო საკმაო.

— არ იცი? — იცითხა დეიდა ანამ, — აი, ეს არის ლიმონი, — მან ხელი გამოსწია. ხელისგულზე ედო რაღაც მრგვალი, მზესავით ყვითელი, წვრილ-წვრილი წერტილებით მოფენილი საკანი.

ყველა ერთად უცბად მიიზიდა მზისა და მინის ამ არნახულმა ნაბობარმა. ბავშვებმა კისრები წაიგრძელეს, აღერთოვანებისაგან თვალები გაუბრწყინდათ. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, კარგად ისმოდა, როგორ იესებოდა სამზარეულოში ქვაბი წყლით.

— ვაჟს ჰგავს! — წამოიძახა ვასიამ,

რომელსაც სულ დაავინყა, წელან ანდრიუშამ რომ გააჯავრა.

— ხახვივით მრგვალია! — თქვა ნადიამ.

— ტკბილია? — იკითხა ანდრიმ.

— ლიმონი, ბავშვებო, მჭაყვა, — მიუგო დეიდა ანამ, იგი შორს, თბილ ქვეყნებში, ხეებზე იზრდება.

— მერე და ვინ გამოგიგზავნა ეგ ლიმონი? — იკითხა ვასიამ.

ანა სიმონის ასულმა თვალი მოავლო ბავშვებს, შემდეგ ცოტა ხნით შეჩერდა და თქვა:

— ლენინმა გამოგიგზავნათ!

იმ დროს ჯერ კიდევ ყველა ბავშვმა როდი იცოდა, ვინ იყო ლენინი, ამიტომ დეიდა ანას კითხვები დააყარეს:

— თბილ ქვეყანაში ცხოვრობს?

— ჩვენი ამბავი როგორღა გაიგო?

— მებაღეა?

დეიდა ანამ უამბო ბავშვებს ლენინზე, მაგრამ შეკითხვაზე, სად იშოვა ლენინმა ლიმონებიო, მხრები აიჩქრა:

— ეგ კი აღარ ვიცი...

ეს ამბავი კი ასე მოხდა...

შორეული საქართველოდან მოსკოვს დაბრუნდა ბორის კოვალიოვი, ყოფილი მუშა, ახლა კი ნითელი არმიის ერთ-ერთი რაზმის მეთაური, მას ლენინისთვის კავკასიის ამბები უნდა ჩაეტანა.

ბორისი ხელში მოზრდილი კალათით, როგორსაც იმ დროს ჩემოდნის ნაცვლად ხმარობდნენ, კრემლს მიადგა.

ალაყფთან მდგარმა გუშაგმა საშვი და საბუთები რომ გაუსინჯა, ეჭვის თვლით გადახედა კალათს.

— ახანად ლენინთან მიმავს! — მოკლედ უთხრა კოვალიოვმა, და კრემლის ეზოში კალათიანად შეუშვეს.

სახკომსაბჭოს შენობის შესასვლელთან, სადაც ლენინი ოჯახით ცხოვრობდა, კვლავ გუშაგი დახვდა, საშუი და საბუთები გაუსინჯა, კალათს ახედ-დახედდა, ასნია და ხელით მოსინჯდა.

— ამხანაგ ლენინთან მიმავიქ! — კვლავ გაიმეორა ბორის ივანეს ძემ და გუშაგმაც გაატარა.

ლენინს ძალზე გაუხარდა სტუმრის მოსვლა, ბურლულის წყალწყალა სუპზე მიიპატიჯა და დანერილებით გამოჰკითხა კავკასიის ამბები. უნდოდა ზუსტად შეეტყო, რითი და როგორ დახმარებოდა კავკასიელ ამხანაგებს.

ბორისი ყურადღებით უსმენდა, პასუხობდა, თავში კი სულ ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა... მან შეამჩნია, რომ საკმაოდ ღარიბული სადილი, რომელიც ოთხი ადამიანისათვის იყო განკუთვნილი, ახლა ხუთ სულზე განაწილდა.

ვლადიმერ ილიას ძის თეფში ნაკლული იყო, ასევე ნაკლული თეფშები ედგათ სხვებსაც.

როცა სუფრაზე მეორე თავ კერძად მონარშული კარტოფილი მოიტანეს, თითოეულს, მათ შორის ლენინსაც, მხოლოდ ორი კარტოფილი შეხვდა, ბორისსაც ორი შეხვდა, ოლონდ გაცილებით უფრო დიდ-რონი.

„მას ახლა რაღა ეშველება, — ფიქრობდა იგი. — სადილი, როგორც ჩანს, შევუჭამე და ეს არის... მაგრამ ვალში არ დავრჩები“.

კალათში ლიმონი ეწყო. ფუთნახევარი მაინც იქნებოდა.

ღა აი, როცა სადილი და საუბარი დასრულეს, ბორისმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და უთხრა:

— ახლა, ვლადიმერ ილიას ძე, ნუბა მბოძეთ ჩაგაბაროთ ქართველი მუსტეხისა და ნითელარმიელების საჩუქარი.

— რა საჩუქარი?! — მაშინვე წარბი შეიკრა ლენინმა.

ბორისმა კალათი შემოიტანა და თავი ახადა. კალათიდან შორეული სამხრეთის მზისა და სითბოს სურნელება ამოვარდა.

— შესანიშნავი ლიმონებია, შესანიშნავი! — ვლადიმერ ილიას ძემ შეიყნოსა მათი სურნელება, მერე მტკიცედ უთხრა შინამოსამსახურეს. — სონია, ახლავე გაგზავნეთ ლიმონები საბაგეშო სახლში! ახლავე!

— ვლადიმერ ილიას ძე... — სცადა დაბნეულმა ბორისმა წინააღმდეგობის განცევა. — ვლადიმერ ილიას ძე. მე ამხანაგების დავალებას ვასრულებ...

— დიახ, დიახ, ლიმონები ბავშვებს სჭირდებათ, — შეაწყვეტინა ლენინმა. — გაუგზავნეთ ეს კალათი.

სონიამ ძლივს დაძრა მძიმე კალათი და სამზარეულოში გაიტანა, ლენინი კი გამოემშვიდობა სტუმარს და გავიდა.

როცა ფეხის ხმა მიწყდა, გულდაწყვეტილმა ბორისმა მძიმედ ამოიხვნეშა.

ამოიხვნეშა ლენინის მეუღლემ, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმაც.

— ეჰ, ჩემო ბორის! სამხედრო კაცი მაინც არ იყოთ! — წყნარად თქვა, — ნეტავი წინდანინ ჩემთვის გეთქვათ, რომ კალათში ლიმონები იყო, ერთ ცალს მაინც ამოვაკლებდი ვალოდისათვის, მას ძალიან, ძალიან უყვარს ლიმონი.

თარგმანი: მ. მაისურაძემ

მატყარი თამაზ ხუციშვილი




# გვერდი

# დასახე

ნოდარ კვიციანი

ხატვარი ედუარდ ამბოჯაძე



ბიჭები კალოზე გამოშლილიყვნენ და ლახტაოიდან უცებ კალოს გუგუნითა და ზრიალით ვერტმფრენმა გადაფურჩინა, სოფელზე ორი წრე დაარტყა და აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი.

— აუჰ, შენ გენაცვალე, როგორ მიფრინავს, ბიჭო! — ჩაილაპარაკა მიხომ, — ხელდახელ არ შემოუფრინა სოფელს! ლახტაობას შეეშენენ ქამრები წელზე შემოირტყეს, ღობესთან მორზე ჩამონოროლიყვნენ და საუბარი გააბეს.

— მართლაც კარგი რამეა, ხომ იცი? — თავი გადააქნა ზურიკომ. — ერთი ეგეთი მოგვცა! რა კარგი იქნებოდა, ეე! —  
— რად გინდა რა? — ჩაერია ვიამ, — შენ რა, ბერძენანთ ვასკა ვირი ხომ არა გგონია, აჭენო!

— როგორ თუ რად გვინდა? — გამოექომბავა მიხომ, — მაგაზე კარგი რაღა იქნებოდა, ჩავსხდებოდით შიგ, ავიჭრებოდით ცაში, და გიყვარდეს, თვალისდახამხამებზე შემოფრენდით მთელ სოფელს. მარშან გახსოვთ, კლემენტინის საბძელს ცეცხლი რომ წაეკიდა, ვიდრე გავიგებდით და მივიდოდით, ნახევარი საბძელი აღარც იყო. მერე გინდ მისულხარ და გინდ არა! აბა, ვერტმფრენი გვქონოდა! მაშინ გენახა შენა და! იტანდი მაღლა კასრებით წყალს, გადმოადგებოდი აღმოდებულ საბძელს ზემოდან და მიდი, დაახსი და დაახსი! ჩაქრებოდა თუ არა?

— ჰოო, ეე კი სწორია! — თავი გააქნა ვიამ, — შენიშნავ რამეს და, ტრრ, იქა ხარ კიდევ!

— მიხომ მართალია! — დაასვენა ზაზამ, — ერთი ვერტმფრენი აუცილებლად გვჭირდება!

— გვჭირდება და გავაკეთოთ! — წინადადება შემოიტანა მიხომ, — ისეთი გამოგვივა, ნამდვილს არ ჩამოუვარდებოდეს!

— როგორ უნდა გავაკეთოთ, ჰა? — დაინტერესდა ზაზამ.

— ვიამ! — მიუბრუნდა მიხომ. მეგობარს, — ახლავე შინ გავარდი, მამაშენს რაც კი რამ თოკები აბადია, წამოიღე და ზემოთ, ნუშო ბებოს კაკალთან ამოდი!

— არის ამხანაგო მეთაურო! — მხედრულად გამოეჭიმა ვიამ და ადგილიდან მოწყდა.

— მართო თოკები რას გვიშველის! — შენიშნა ზაზამ. — ვერტმფრენს იცი რამდენი რამე სჭირდება! ეს პროპელერიო, ეს კუდიო, და რა ვიცი, კიდევ რა!

— დაცა, რა გეჩქარება! ნელ-ნელა ყველაფერს ვიშოვიო! — დაამშვიდა მიხომ ბიჭი და ზურაბს გადახედა, — ზური, შენ დედაშენის ქოლგა და ყველაზე მობრძილი ტატი რაც გექნებათ, დაავლე ორთავს ხელი და ამოიტანე!

— ახლავე კაპიტანო! — ისარივით გავარდა ზურა.

— მე რაღა მოვიტანო, უფროსო? — მიაჩერდა მიხოს ზაზამ.

— შენ? შენ კიდევ ორიოდ გრძებლობოებიანი ცოცხი და რამდენიმე მოკლე ფიცარი წამოიღე, ამასობაში მე და ვახო ადგილზე ავალთ და იქაურობას მივათვალ-მოვათვალთ-ერთობ!

ბიჭები დაიშალნენ. მიხომ შინ გაიარა, დურბინი გამოიტანა და ნუშო ბებოს კარ-მიდამოსკენ გაემშრნენ. ნუშობებო სოფლის განაირას, პატარა ბრეცზე ცხოვრობდა. სახლის უკან, სადაც ქათმები და ინდაურები დაუდიოდა, ვეებერთელა, ცათაბჯენილი, ტოტებგაფარჩხული კაკლის ხე ედგა,

იმ ხიდან ხელის გულივით ჩანდა სოფელი და მისი შემოგარენი.

მალე ყველამ იმ კაკლის ქვეშ მოიყარა თავი... ვერტმფრენის აგებას თავად მიხი ხელმძღვანელობდა. პირველ რიგში გიას ამოტანილი თოკებით ვერტმფრენზე ასასვლელი კიბე დაამზადეს. ზურა კაკალზე აცოცდა, თან კიბის ერთი ბოლო აიყოლა და მარაოსავით გაშლილ, სოფლისაკენ განვდილ ტოტს შუა წელზე ჩააბა. მეორე თოკი ტოტის წინა ნაწილში ჩაკეცდა, გაშლილი ქოლგა და მოკლედ დახერხილი ფიცრები ტოტზე ზემოდან დაამაგრეს, ტაშტი ტოტის წინა ნაწილში მოხერხებულად ჩაჭედეს, ცოცხები კი, როგორც კუდი, ტოტის ბოლოში აქეთ-იქით ჩაჭყუნეს, და ვერტმფრენიც მზად იყო.

— აბა! — გასცა ბრძანება მიხომ, — ეკიპაჟს ვიხოვ, ადგილები დაიკაონ!

ყველაზე წინ მიხი აპყვა თავის კიბეს<sup>1</sup> და ტაშტში მოკალათდა. დანარჩენები ტოტის შუა ნაწილში ჩამოსხდნენ. მართო ზაზა დარჩა ქვემოთ. მას ტოტის წინა მხარეს გამობმული თოკით ტოტი უნდა აეჭან-დაეჭანებინა. მიხომ დურბინდი მოიმარჯვა და დინჯად მოავლო თვალი სოფელს.

— ყურადღება! — ხელი ასწია შემდეგ, — ჩართეთ ძრავები!

— არის ჩართოთ ძრავები! — გაიმეორა გიამ და ადუღუნდა. გიას სხევიც აპყვენ და ატყდა ერთი გნაისი და გრიალი.

— თახ, თახ, თახ, ბუხ, ბუხ, ბუხ! — ისმოდა რიხიანი ყიფინა.

— ნავედით! — ხელი დააქნია მიხომ და ტოტიც აქანავდა.

— უჰ, შენი ჭირიმე, რა მაგრა მიეფრინავთ! — ვერ დამალა აღტაცება ზურამ.

— აგვე, ზაზანთ კარ-მიდამო გამოჩნდა, — შეპყვირა ეასომ. — ჰე, ჰე, მანდ ვინა ხართ, რატომ არ ამოგვებდავთ, კაცო!

— ბიჭებო! — მუდარით ამოსძახა ქვემოდან აქოშინებული ზაზამ, — მეც დამანახეთ რა მანდედან ჩემი ეზო-კარი!

— მიდი, მიდი ზაზა, არ გააჩერო! — შეახსენეს ზაზას თავის მოვალეობა.

— აგერ კოლმეურნეობის ვინახებიც, — ჰე, ჰე, ჰეე, ხალხო! მამ დავიჯერო ამოდენა ვერტმფრენს ვერ ამჩნევენ, პა?

— ეიო, ჩემი ჯერი აღარ დადგა? — მოთმინების ფილა აეესო ზაზას, — ხულები დამიბუჟდა, კაცო!

მიხოს ბრძანებით ზაზა რომელიღაც ეკიპაჟის წევრმა შეცვალა და ისევ აზრიალდა, ათუხთუხდა, აქან-დაქანდა ვერტმფრენი.

— ყურადღება! — დაიძახა უცებ მიხომ, — მარჯვენა მხარეს კოლმეურნეობის სიმინდებში კამეჩებს ვხედავ! იმოქმედეთ!

ორი ბიჭი სწრაფად დაეშვა კიბით დაბლა, თავქუდმოგლეჯილებმა გაჰქუსლეს სიმინდებისაკენ...

შუადღისას კი მფრინავმა დარაჯებმა ბეგლარაანთ ვენახი გადაარჩინეს ზალიკანთ მსუნჯაი, ანცი თხებისაგან...

მეორე დღეს უკვე მთელ სოფელში ყვებოდნენ მიხოსა და მისი მეგობრების — ვერტმფრენის ეკიპაჟის საგმირო საქმეებს.



უფრო ადვილი,  
ნამი შეუნი ბუფი  
და ზეიმზე წავედი  
ავსეთის ტყეში —

დასაუბლეს დღე ქონდა  
რეაგის წლის მუხანს  
(შენე მოგვემდინე  
მისაწვევს-  
ტყის მოცეთ თუ ხარ)

დავამინის კოველ კეთილი  
ჩამოსილას სტუმრები:  
ებლით, წავით,  
თვითმფრინავით,  
მარხილებით, ურბანობით.  
საზეიმო ფერებელში  
ჩამბეულია ყველა —  
ცაცხვი, ვერხვი, იფანი,  
სიფდა თუ თედა,  
ნაკურნაბი, ძახველი,  
მურა და ზაღბა...  
მარტენივ სარტას

უკრავენ,  
ხოლო მარჯვნივ — სამხს.

აფხველია მთელი ტყე  
მონებზე ხაღბით:  
იჭერ ტყა და ქვიტყავი,  
იხუნელია და თახვი,  
იჭილ — თრია, თოღია,  
იხობილ და იხვი,  
იჭილ — შერო, შიქვანა,  
დურჯი და ჯიხვი,  
ღამის ღამის გვერდით

დგას,  
მუდის ჩიდი უფროხის,  
მიწისობან მიწისბიდან  
შეშია და შურთობი,  
სარკველში სარბილში

უფრობა აფხას,  
ქოტბა იფიფს ურორი  
დაუვარცხნა ღამახად...  
გაიწიდა მოღზე სუფრა  
და დაიწყო ყველა:



**წიგნი  
პირაპირა**

დათვი — თაველი,  
მწიკი — კვანთი,  
ხოლი ვერძითი — მელა

ვეფხვია დეხლი გაწაღი,  
ლოღზე სუფრა  
მოქვეს ტოტს.

წიგნიდან  
ღამის ზოცურს ანდის,  
ზანას —  
სპილი პოტენტოტს.

პეპეშოთან უხადე  
მორს —  
ჩრდილოეთელ უსკომოს.

საყისი ისწილებენ  
ეს — ში  
ეს — შენი  
ეს კი — მას!

მისწონს ღამის ფაფარი  
ვაქვერვლ ტრისღამს —  
— მორსა, ავირფან  
ასეუ ფაფარს ვიზრდი!

მხარეობს ზაღამ  
ქინველდათა არმია:  
ფორიკობს, ძამია,  
ქინჭველდაქამია!

ატრადეიონს უხადე  
ფოღებლი მიღვის  
და პრობლემა გამბეფარს  
მოუნე ერთი მიღვის.

გასართობს და სანახავს  
რა აუფა, კან მოთელის,  
კაკაფუმ და შაკაკამ  
ისეიჩნეს სპილითი.

პანანია წარღუნებამ  
რე ვაფურა ზანსით,  
მოჭდაფე დათუნე  
დაჯღღაფედა თახით.



ჩანგზე ფრის ვეფხვამენ  
ვაიხვებს წარბი,  
წამბილი გამბეფარს  
მხეტუნია ზღარბი...

სასუბო კოცენტრში  
უფლა მისწილებობს,  
ორბა

„კოფია“ თქვა,  
არჩე მელრის „ლოღის“

დაუღამდა თეფარი მუ,  
აჩრა დათარა!  
ხედავს, ხანჯელურს

მეფავენ  
კურფელი და აფთარი.

ტორილები უსტავენ  
ტყურთ არსტობის,  
გუგულს ხედავთ —  
კორტენტის  
ორგანიზატორია!

ხარამბენ კანდა  
„მუხლი მუხას“

გუგუნებს,  
სატრფილო სიმღერას  
არარკაცებს მუღბელდა.

სასადილო პიესა  
მეფურებელს არბობს.  
გოხოთ იყნობდეთ  
აფტორს —  
პატონ ალუგატორს!

— შენ ხარ ჩემი  
სულსფემა,  
ჩემი გულის ხაწილი... —  
საუთარ ღვეს

კოხტელობს  
ფაღბრილია არჩეი...  
ზოლოს დაფეა მისაღვი  
ფეხუმბის ჯურა:  
წოკიხეს მისაღმება  
ეს ოცი წლის ძურბი.

ჯანმრთელობას  
მუხს...  
ტრამპილს...  
ფრანსებ...  
წიგნი

„ცამეტი წელიწადი“  
სულ ჩემი...  
ასე...  
თხმბირი წლის ფეღფერი

„არსიფეს დაგმობიდან  
მარხილი რე“ —  
ამს წელს ვადყოღბელი  
სწორდა ვეფურე

„შენი აქის მსურველი  
საიდარმოვე“  
დამხმადელს! —

უნსტრევება აღადე  
ორასი წლის ვეანადა.

„მუხავ, შენი მანჯეფარი  
მარად აქის კრულ“ —  
აღმატრობის ხეღით  
სწერდა

სამანი წლის კე.  
„დადოცის, მხაო, შენი  
მანჯეფარი ფემა“ —  
ამის მუხას


თხმბირი წლის  
მარბილი სწერდა...  
მუხას ფაღოცა სტუმრები,  
ფეგს ფეფეღებელ აჩრით.

„მხაღვირ მისას  
მარ მონფეა,  
სამან იქნებოთ მღვირი!

მოყარებოთ უღელმბეღ  
ვეღამი ჩემი მხისანნი!  
კოფევე ფორფეღებინ  
ფეღებს ღვეღები

მეღასასა“

მეფეა  
სტუმრს  
ქონდასწილი





## გაზაფხული მოვიდა

ლილი ნოსთაიძე

გაზაფხული მოვიდა  
ივით და ენებით,  
და ჩურჩულებს, იუსო  
საქართველო დღეგრძელი.  
გაზაფხული მოვიდა  
ფრთხატულა შერცხებით,  
ტიკტიკებუნ, იუსო  
საქართველო დღეგრძელი.  
ჩანჩქერები გაფოსკდა,  
ნაკადული მოდიდა,  
გამარჯვების ღიმილით  
გაზაფხული მოვიდა.



ააქოს ხამ მამა

თუ მომივლით წყარს დამისხამი  
საღამოს და აგრე დღით,  
გავიზრდებო—გაგაბაჩებო  
სურნალებო, ნივთებო ჩრელით.  
ვიცი თქვენი ერთგულება,  
ციე თავეს არ მომასარებო,  
ბეჭითებო, ყოჩაღებო,  
გამაზაზებო? გაგაბაჩებო!

ქ. კობიაშვილი



აეკრიალდა ტელეფონი  
თელთი დღითაიამილი

აეჩილა ტელეფონი  
იხის მზები შორიდან  
— ჰიკ, ჰიკ, ჰიკ, ჰიკ! მოვილაცაფი,  
გაზაფხული მოვიდა!  
მე ხომ თავენი მეტყვალ ვაჩ,  
იამხი და ფრთხატი,  
დაბებრულბეზი თქვენთან მაღა,  
მთელი ჩემი ამალით.

## სამეურნაიი აქლემი

ირაა წულთისაირი

ერთ ზღაპრულ ქალაქში  
იყო ზოოპარკი ანუ, ქარ-  
თულიად, ცხოველთსაუფ-  
ლო, სადაც მხეცები თაეი-  
სუფლად დანავარდობდ-  
ენ — მგელი კურდღელს არ  
ფოხოდა, ღომი თაეს არ  
ესმზოდა ირგმს, ბაე მუხებიც  
უშიშრად მიმოდიოდნენ  
ბაღში.

ამ უცნაურ ცხოველთსაუ-  
ფლოში ცხოვრობდა ერთი  
სამეურნაიი აქლემი. იგი  
ტაატით დადიოდა, ღილ-  
ტანიანი იყო და სიარული  
უქირდა. წამორწყებოდა  
მდელოზე და იცხვებოდა.

ცხოველთსაუფლოში  
ჩვირად დადიოდა ერთი  
ბატარა გოგო. ყველა ცხო-  
ველს იცნობდა. ყველა უე-  
ყარა — ირმებს ხელით აე-  
მეფდა ბალახს, დათეს თაფ-  
ლიან ნამცხვარს აწვდიდა.  
განსაკუთრებოთ დაუმეგობ-  
რდა აბებრ აქლემს.

აქლემი ხანდახან ზურგ-  
ზე შეისვენადა ხოლმე გო-

გოს და მთელ ცხოველთ-  
საუფლოს შემოატარებდა.  
ერთხელ გოგომ ჰკითხა:

— რატომ გაქვს სამი კუ-  
ზი, აქლემს ხომ ორ კუზზე  
მეტი არ უნდა ჰქონდეს?

აქლემმა მიუგო:

— ბაეშეოაში ძალიან  
ღორმუცელი ვიყავი. ბევრს  
უკამლი, მეშინდა უღაბ-  
ნიში არ მომშოებოდა. ამ-  
დენი საქმელი ორ კუზში  
არ მეტყოდა და შესამეცა-  
მინდა. ახლა აღარც შინ-  
და, რომ სამი კუზი ჰქონ-  
დეს. ტყელოდ მამომებს,  
მაგრამ რალას ვიხამ ღორ-  
მუცელი არ უნდა იყო, თო-  
რემ ვინ იცის, იქნებ ორი  
მუცელი გაკინდესო — დას-  
ძინა ბოლოს აქლემმა.

16764

## ენის პასაჟი

რუანდა სახალხოთსიფილი

გოას ჩანთა  
არსად ჩინდა,  
თურმე ჩირვეში  
საუვარდა.  
ქმი ჩანთა,  
ჩივის გოა,  
იღბათ შაქმა  
წაიხა.





კეთევან ჰილაშვილი

თქვენს საყვარელ მწერალს, მრავალი შესანიშნავი საბავშვო ნაშრომების ავტორს კეთევან ჰილაშვილს 60 წელი შეუსრულდა. კეთევან ჰილაშვილმა „დილაში“ დაიწყო სამწერლო საქმიანობა და ავტორს ამ დროს წელზე მეტია გვერდში უდგას ჩვენს რედაქციას. მისმა მოთხრობებმა თავიდანვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება: მან მოთხრობების მრავალი წიგნი გამოსცა და პოპულარობა მოიპოვა. მწერალი საყმაწვილო დრამატურგიაშიც მუშაობს. შეიძლება გენახოთ კიდევ მისი პიესა „აკაბაცა“ მოზარდ მსყდრებელთა თეატრში. ახლა ამავე თეატრში იღვებმა მისი ინსცენირებული ო. გოგებაშვილის ცნობილი მოთხრობა „იანანამ რა ჰქნა“.

გასულ წელს დღევანდელმა იუბილარმა „დილის“ კონკურსში პრემია დაიმსახურა. პრემირებული მოთხრობა — „ჩიტები გამებუტუნენ“ — თქვენ უკვე წაიკითხეთ.

გეტყვით მის ახალ პატარა მოთხრობას.

# კალათი

მხატვარი ოტარ ჩხარტიშვილი



სოფიკო და კიანა-ბიკი ორღობეში შეხვდნენ ერთმანეთს.

— სად უოფილხარ, კიანა? — მიესალმა სოფიკო.

— ფერმიდან მოვდივარ. — თავი დაუკრა კიანამაც, — მე და გაიამ მამაჩემს გოგების ვაზანებაში წავაშველეთ ხელი, ისე გავდგრიკეთ, სულ ბრდღვიალი დავაწუებინეთ. იმათი უკუივლი ზეცას სწვდებოდა... შენ სადღა იყავი?

— მეზობლებში. ზვალ სკოლაში ოქტომბრულებს „წითელქუდას“ ვეადგმევინებ. ყველაფერი გვაქვს: მგლის ნიღაბი, სათამაშო თოფი, წითელი ქუდიც, პაწია კალათა კი ვერ ვაშოვნეთ.

წითელქუდა ჩვენი მაშკია, და ამ ნამცეცა გოგოს დიდ კალათს ზომ ვერ დავაჭერინებთ?

— მოგიკვდეს კიანა, თუ ხვალისათვის პაწია კალათა არ გამოგიკვანწო.

— მართლა თუ მებუზრები? — არ სჯეროდა სოფიკოსს...

იმ საღამოს აბა, რაღა იქნებოდა, და გათენდა თუ არა, ადგა კიანა, უალაში ტირიფებს ჩამოუარა, ფრთხილად შეაპრა ზედმეტი, წვრილი ტოტები. დაბრუნდა და დერეფნის ბოლოს მიჯდა სამუშაოდ. თურმე არც ისე იოლი უოფილი კალათის მოწვნა. სანამ თავად არ გაირჯები, ეტუობა, საქმეს ვერ ჩაუხვდები.

პირველი კალათა ცოტა გვერდელა გამოუვიდა, ადგა და მეორე წამოიწყო, ისე მარჯვდევდა, თვალს ვერ მოაშორებდი, მაგრამ ესეც არ მოუვიდა თვალში—პირგანიერიაო. რაც არის, არისო და მესამედ შეარჩია წნელი. წნა, წნა და ისეთი პაწია კალათა მოწნა, აქ მოდი და მნახეო.

— დედი, აბა ნახე, როგორი? — მერე ში ბზრიალსავით დაატრიალა ბიჭმა წნული.

— მშენიერია, დედა გენაცვალოს, ძალიან ლამაზია!

— მაშ მოეწონებათ?—წამოდგა კიანა, შარველი ჩაიფრთხა და წასასვლელად მოემზადა.

უცებ ისეთი ქექა-ქუხილი ატყდა, ისეთმა შხაპუნამ დასცხო, კიანას ადგილზე სხვა ფეხსაცალარ მოიცვლიდა.

— ამ თავსხმაში სად მიხვალ, შვილო,—დაუშალა დედამაც.

— სკოლაში, ხომ გითხარი, სოფიკო წარმოდგენას დგამს.

— გადაიღებს და მერე წადი...

— მელოდებიან, წითელქუდა უკალათოდ ხომ ვერ წვახ ბებიასთან? შევპირდი...

— ჰოო, რაკი შეპირდი!..—მოლბა დედა, აი, თურმე რად შრომობდა დღისა აქეთ ასე გულმოდგინედ ჩემი შვილიო.—მოიცა, მამაშენის საწვიმარს გამოვიტან, —შინ შევიდა კიანას დედა. კიანამ კი დაპკრა ფეხი და შხაპა-შუპი აუფედა გზაზე დაქანებულ ნიაღვარს.

თვიდან ფეხებამდე გაილუშმა ბიჭი, მაგრამ ნაბიჯი არ შეუნელებია. ღრუბელი სინდისმა შეაწუხა, უჩუმრად აიკრფა წვიმიანი კალთები და მზემ გაანათა ჩამოხნელებული ცა.

ამ ერთ აღმართსაც აიარებენ კიანა და სკოლაც გამოჩნდება. არა და სველი ფეხსაცმელი დამიძმა, შარვალიც ტყლაპივით შემოეცმანსა ფეხებზე. კიანა მაინც არ ეპუება და აი, საიდანაც თბილმა ნიაგქარმა აფრასავით გაუბერა ხალათი... შარვალი... მერე ნაბიჯშიც წაეშველა, მიწას ფეხი არ დააკარებინა, ისე აარბენინა აღმართი.

სოფიკო და მიხი პატარა მეგობრები სკოლის დერეფნიდან გამოპუკრებდნენ გზას. კიანას დანახვაზე მზიარული ყვირი ატყებს.


მიეშურებოდა კიანა და მიაკონწიალებდა პაწია კალათას, რომელიც სავსე იყო მეგობრების სიყვარულით.



## სად და როგორ სძინავთ თქვენებს?

ვთქვით თვეზს დასაძინებლად არც ბალიში აქვს, არც საბანი და არც საგანგებო საწოლი. არადა, თვეზსაც ხომ სურდებდა ძილი. ძილში უნდა დაისვენოს, დასვენოს პატარა სხეული. მდინარეს თვეზები ჰყვით ისე ანგრებენ დასაძინებელ ადგილს პონესა—ფსკურზე, ღრმში ჩაფლოვიან ან ქვის ქვეშ შეტყობიან ხოლმე. მაგრამ ზღვის ბინადარმა თვეზმა რჯლა უნდა ქნას? რაც არ უნდა ჩაყვინთონ, ფსკურამდე მაინც ვერ ჩაიწყვს. ამიტომ ბუშტებს გაბერავს ხოლმე, წყალში წაღმა-უკულმა ტიტტიებს და ასე სძინავს.

ზამთარში, როცა მდინარეები და ტბები ცივდება, თვეზები ფსკერს მიასურებენ და იუ ხანგრძლივ ძილს მისცემენ თავს. ზოგიერთ თვეზს კი წყალში ჩაყინულს სძინავს. ზვიგენს კი ბუშტებს არა აქვს, ამიტომ გამჭიმვებით ცუთაუნ გაუჩაგრებლად ამოძრავებს ფარდლებს. მაშ როდესღაც აძინავს ეს ჯერ არავინ იცის. იქნებ სულიც მძინარე ცურავდეს!



# საქართველი

ორი ბიჭი ჰყავს თათარას და ერთი „ბელარუსი“ ტრაქტორი — კალიას რომ ჰგავს. ტრაქტორი, მართალია, კოლმეურნეობისაა, მაგრამ შინაც მოჰყავს ხოლმე. ბიჭები როგორც კი დაინახვენი, ახტებიან ზედა და: — დაქოქე, მამილო! წაგვიყვან, მამილო! — კარგი, ჰო! — დაქოქავს ტრაქტორს და მიობის ალაყბალაყ.

ერთხელ უფრო შორს გაიტყუეს ბიჭებმა. — მამილო, შენი ტრაქტორი უფრო ლონიერია თუ ნოდარას „უაზი“?

— ნოდარას „უაზი“ რა არი, შვილო? ჩემი ტრაქტორი ტანკზე ღონიერია.

— აგე, იმ ხრამში გახვალ?

— ეგ რა არი? მაგაზე უარეს ღრანტეებში მივლია. — თათარამ საჭე ხრამისკენ მიღრიჯა, ბიჭები გადაქან-გადმოქანდნენ და თავებით ერთმანეთს ერთხუტენენ.

— იმ წყალშიც გახვალ?

— ეგ წყალი რაღაა? — თათარამ გუბისკენ მიუშვა ტრაქტორი და გულდაგულ შეერია.

— აქა მანქანა ჩაეფლო და ძლივსღა ამოიღესო.

— მანქანის ძალა რა არი, შვილო? თუ რამეა, ჩემი „ბელარუსია“.

— ღღღ!.. — დაიღრიალა ტრაქტორმა და დაბუქსავდა.

— ეფლობა, მამილო!

— ეფლობა არა, ის არ გინდა!

თათარამ გაზს მოუმატა, გაანევირა, მაგრამ არა გამოუვიდა რა. ტრაქტორმა იბღუვლა, იბღუვლა და ჩაქრა.

თათარამ იხტიბარი არ გაიტეხა, ისევ დაქოქა და გაანევირა.

— მართლა ეფლობა ეს უპატრონი! — ვიღაცას გაუნყრა თათარა, სიჩქარე გამოცვალა, უკუ წევა ჩართო და ისევ დააღრიალა ტრაქტორი.

— ეფლობა, მამი!

— ეფლობა თქვენა და თქვენს თავს! ყველაფერი თქვენგანა მჭირს.

თათარამ აბღუვლა, აბღუვლა „ბელარუსი“, მაგრამ გასვლა-გამოსვლის ნაცვლად ტრაქტორი თანდათან უფრო ღრმად ჩაეფლო და ღერძამდე ჩაჯდა.

— მამილო, ნოდარას მანქანა ვენახთან იდგა! გავეიქვევი და დავუხახებ.

— გადადი, მომშორდით აქედან!

თათარა ტრაქტორიდან გადმოვიდა, აღმართი აიარა: — ნოდარ!

— რომელი ხარ, ბიჭო?

— აქე ტრაქტორი ჩამეფლო და წამოდი ამომავყვანიე, შენი ჭირიმე!



## ბიზგზი პაპუაშვილი

ნოდარამ შაბიამნის სსხურებელი აპარტი ჩამოიხსნა და ვენახიდან გავიდა...

— მაგ უძიროში რამ შეგიყვანა, ბიჭო, ტანკიც ვერ გავა.

— ჩემი ტრაქტორით სადაც გავსულვარ, იქ მართლა ტანკიც ვერ გავა, მაგრამ, არ ვიცი, ახლა რა ეშმაკი დაემართა.

მანქანა გუბისთან გაჩერდა. თათარამ ჭანით თავისი ტრაქტორი გამოუბა, მერე თვითონაც საჭეს მიუჯდა, დაქოქა „ბელარუსი“ და ხმაძალა გასძახა, გაანევირა.

— ვუუუ, ვუუუ!.. — გამოანევირა ნოდარამ.

— ღღღ!.. — აღრიალა „ბელარუსი“.

— გამოდის, მამილო, გამოდის! — სიხარულითსაგან ხტუნვა დაიწყო ბიჭებმა. მოსლოდნელად მანქანა ჩაქრა.

ბიჭებს ნირი ეცვალათ.

— ვაიმე, რომ ვეღარ დაიქოქოს?!

— თრრ!..

— რა ემართება ამ უპატრონოს?! სხვა დროს ნახევარ გადატრიალებზე იქოქება და...

— თრრ!..



მხატვარი იოსებ საბოსონაძე

ნოდარამ ხან ფეხით აწვალა რაღაცეები, ხან ხელით უჩხიკინა და, როგორც იყო, — ბახ, ბახ, ბახ, ბახ, ბახ!.. — უცნაურ ხმაზე დაიქოქა მისი მანქანა.

— ეგ რა ემართება? — გადმოსძახა თათარამ.

— მაყუჩი მოსტყეხია ამ უპატრონოს! ბიჭებს გაუხარდათ კიდევ, მანქანამ რომ ტრახტრახი დაიწყო, იფიქრეს, ეგ ისე გაღონიერდება, მატარებელსაც კი დასძრავსო.

— მიდი, აბა, იქნებ გაანევირო!

— ეუუუ! — დაიჭალყვა ავტომანქანა.

— ლღღ! — აღრიალდა ტრაქტორი.

— გამოდის, მამილო, გამოდის, ნუ გეშინია!

ცოტაც და ლოპოსავით ამოძვრა გუბიდან ის თქვენი ყურებამდე დასვრილი „ბელარუსი“.

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა! — შუბლიდან ოფლი მოიწურა თათარამ.

— სხვა დროს მაგეთ ღრანტეებში აღარ მიჰქარო! — დატუქსა ნოდარამ, სანამ თათარა ტრაქტორს ახსნიდა.

— განა ჩემი ბრალია, კაცო, ბალებზე შემაცდინეს.

— რაც გინდა, ისა თქვი. ე მაყუჩის ზარალიც შენზე იყოს! — ტრახტრახით მიუშვა ნოდარამ თავისი მანქანა მტვრიან აღმართზე.

ბიჭები „ბელარუსზე“ აცვივდნენ.

— მამილო, აკი ყველგან გადიოდა შენი „ბელარუსი“? — გაბედეს შეკითხვა, როცა კარგა მანძილი გაიარეს და მამის სახეზე ღიმილი შეინშნეს.

— განა უძიროშიც გადის, თქვე მამაძაღლებო?!

— უძირო რა არის?!

— უძირო ის არის, რომელსაც პირი აქვს და შირი არა. ეგ გუბე უძირო ყოფილა.

მეორე დღეს, არავინ იცის, მეზობლის ბავშვებმა საიდან გაიგეს, ნიშნის მიგებით ეკითხებოდნენ ბიჭებს:

— ბალო, აკი მამაშენის „ბელარუსი“ ყველაზე ღონიერი იყო? რად ჩაეფლო გუშინ გუბეში?

— თუკი უძირო იქნება, ჩაეფლობა, მამა რა მოუვა? ის გუბე უძირო ყოფილა და...

ავთანდილ  
მეზღველიშვილი

მევენახეები



ამ ვახს მიტო მისხლავს  
ბევრს იმიტომ ისხამს.  
გოგია რომ მისხლავდა,  
მაშინ სულ არ ისხამდა!

### მერცხალს

ჰე, მერცხალს, რა ღამაში  
ბუდე ავიშენებია.  
ჩვენი კოხტა ოდა სახლის  
ურდო დაგიშვენიებია.  
სახლზე სახლი მიგიდგია,  
დაგეჭიკჭიკებ საამურად,  
რომ არავინ გაწყენინოს,  
გიდარაჯებთ მე და მურა!

### გაჩის გაჩარი

გიახელით ღოძი ყველით,  
და ნაღები თბილი რძისა.  
ახლა ზურას კი არა და  
დათვის ბელსაც დაცემ ძირსა!

### არ სძინავს მურიანს

ვივახშმეთ, ყველა ვიძინებთ.  
კრუხიც აძინებს წიწილებს.  
არ სძინავს მარტო მურიანს,  
აეს და უშიშარ გულიანს.  
ახლოს ვერავინ მიუვა,  
კარგი თვალი და ყური აქვს!



მათ არ სჭირდებათ ცურვის სწავლა: ცურვა დაბადებიდანვე შეუძლიათ. როცა სხვა გზა არა აქვთ, ისეთი ცხოველებიც კი ცურავენ, რომელთაცაც ამის არაფრით არ მოელოთ. ეს სურათები არ ტყუიან, თქვენ თვითონაც შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ ბევრი ხმელეთის ცხოველი კარგი ნოსტრადეა.

# ვინ კოვობს ცურავს

კატა მიინცდამინც კარგად ვერ ცურავს: წყლის ზედაპირზე

გაუნძრევლად არის ვაწოლილი და ძლივსა იკავებს ტანს წყლის ჩაფიძროო. მგერამ ამის ზეზი შეიძლება ის არის, რომ იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუსდელია. ბებერი კატები კარგად ცურავენ და ზოგჯერ კიდევ ჩაყვინთავენ ხოლმე.

ძალი საუკეთესო მცურავია. წყალში ნოლად თევზივით გომობს თავს. ეს ძალი, სურათზე რომ არის აღბეჭდილი, კროლით ცურავს (კროლი სპორტული ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხია), თავი ოდნე მარცხნივ აქვს მიბრუნებული. ცხოველთა შორის ცურვაში შეჯიბრება რომ დაიწყოთ, იგი წამდელიად ჩემპიონი გახდება.

მაალი წყალშიც ისეთივე



ერთ-ერთს სურათზე ჩვენ ვხედავთ ჩოჩორს, მას შიშის ზარმა დაფარა, როცა თავის სიკოცხლში პირველად აღმოჩნდა წყალში, მაგრამ შიში მალე დამლია. ეტყობა, ჩოჩორი თვითონაც გაეჩივებულება: თუარე ცურვა შენაწლებია, ნეტა აქამდე ეს რატომ არ ვიცოდით.



ამაია, როგორც ხმელეთზე, თავალურილი, მოლაწველი თაიამად ნაიამს ტალღებს და დინჯად მიემართება ნაპირისაკენ. ხმელეთის ამ ტიპური ბინადარის თავდაჯერებულობამ წინ შენახვევით შეხვედრილი თევზიც კი დააფრთხო.



## ხუთი, ხუთი და ექვსი

ამ ექვს სურათზე სხვადასხვა საგნები და გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული: ხუთი გასაღები, ხუთი სამაგრი, ხუთი ტიკარტი და ა. შ. მხოლოდ ერთი საგანია გამოხატული ექვსჯერ. თუ ხუთ წუთში მიხვდები, რომელი საგანია ეს, კარგი მხედველობითი მახსოვრობა გქონია.






## ჭიჭიბი

მაგიდაზე მწყობრად აწყვია ექვსი ტიკა. სამი ტიკაში წყალია. სამი ტიკა ცარიელია. როგორ მოვახერხოთ, რომ წყალი პირველ ტიკაში იყოს. მეორეში—არა. მესამეში იყოს. მეოთხეში—არა, მეხუთეში იყოს. მეექვსეში—არა. ხელი მხოლოდ ერთ ტიკას უნდა მოკიდოს.

## სახაფხულ ქუდი

ამ თანმიმდევრობით თუ გაეცევა გაზეთს, მშვენიერ საჩრდილოებელ ქულს მიიღებ.





# მაკამურები

## ზიორაბი წარმოქმნილი

რომ არ გითხრან ჩემო კარგო,  
მარჯვე ბიჭი არა ხარო,  
შენს ბალჩაში  
სარეველა  
ბალახები . . . . .!

\* \* \*

ჩვენ გვეგონა  
ბრიალით  
წაიკიდა ტყემ ალი,  
თურმე ალი კი არა,  
მწიფდებოდა . . . . .

## კუყურა

მოვილა—აწუხტუხტდება  
მთაში წყარო ანკარა,  
ხან წვიმები შხაუნობს,  
ხან მზე არის თაქარა;  
ყვავილების სურნელით  
აივსება მთა-ბარი.  
ხის ფოთოლი ხასხასებს  
დილის ცვარით ნაბანი.

ზოთა ამირანაზვილი

## ვინ არის?

### მუხაფარ ალიშაბაძე

საგვე ქილის გარშემო  
აქეთ-იქით ტრიალებს,  
დავის კუდაპრებილი  
თვლებსაც აბრიალებს.  
თათი გაჰკრა... და რძის ტბა  
ერთიანად დაცალა,  
ვაძლა, მაგრამ რა ვაძლა,  
ვაიბერა ბანცალა.  
ვერ იხვენებს... ეს ამბავი  
მოხდა გუშინ დიღას...  
დააკვირდით, რას გაგონებთ?  
რას და, საგვე ქილას!



ლექსი ნუნუ კერეხელიძისა






მუსიკა მერაბ ფარცხალაძისა

# ბანვარჯიში

აღრე წამოვფრინდები,  
მიმღვრიან ჩიტები.  
ბუქნი-ბუქნი ბუქნელო,  
ვივარჯიშებ უთქმელად.  
ძირს მივია ხალიჩა.  
ჯადოსნური მთვარისა.

მზევ, დამხედვ ცხრა თვალით,  
მოდგი შენი შანდალი.  
მოლი, შემოანათე,  
შა, გიხატავ ბარათებს,  
ვივარჯიშებ ხალისით,  
ჩემი ფიჭვიც ვაგანდევ.

კოტხლოაქ 1-88



6 121 / 62

პარაშუტი



დიდი სისწრაფით მიქრის თვით-მფრინავი. „ყურადღებამ სტარტზე!“ გაისმის ბრძანება... სპორტსმენი თვითმფრინავის კარს აღებს და ხტება, ტყვიასავით მიფრინავს დაბლა, მიწისაკენ. უცებ მის ზურგზე მოკიდებული ჩანთიდან რალაც მალლა ავარდება... ნამიც და მამაცი სპორტსმენის თავზე ვივებურთელა ქოლგა იშლება... ფრენის სისწრაფე ხელდება, ლივლივით უახლოვდება სპორტსმენი მიწას.

...აი თვითმფრინავი ლაღად მი-აპობს ციური ოკეანის ტალღებს... მაგრამ უცებ რალაც გაუფუჭდა! ავარია ცაში! დაღუპვა თითქოს გარდაუვალია, მაგრამ კაცს მხსნელად პარაშუტი ევლინება.

...აი კოსმოსში ფრენის შემდეგ დედამიწაზე ბრუნდება კოსმოსური ხომალდი... დაშვებისას მისი სიჩქარე რომ შენელდეს, იშლება სა მ უ ხ რ უ ტ ო პ ა რ ა შ უ ტ ი, და კოსმოსური აპარატურა რბილად ეშვება წყალზე ან მიწაზე...

...ფრანგულ ენაზე პარე ნიშნავს ხელის შეშლას, არიდებას, ში უ ტ — ვარდნას. ამ ორი სიტყვიდან არის შედგენილი სიტყვა პარა-შუტი.

პარაშუტის მსგავს მოწყობილობაზე ადამიანები ჯერ კიდევ 500 წლის წინათ ოცნებობდნენ. რამდენწაირი ფორმის პარაშუტი არ გამოიგონეს, და ბოლოს პარაშუტმა დღევანდელი სახე მიიღო... ამ სურათზე თქვენ ხედავთ სხვადასხვა დროის, სხვადასხვანაირ პარაშუტებს...

უდაზრ ნაპატო სოფითი კონსერვაფილისა

მთავარი რედაქტორი მუხრან შაბაძე რიბანი

ხარულაქითი კოლხა: ალბარ პაისაძე, ილია ანთაღაზა, ავთარი გოიაფილი, სოლომონ ლა-პარანაფილი, ლეილა პანაი, ჯორჯ ლუკაშვილი (კახა ზღვაი), ანანია კობახიძე, გელა ლოსაძე, რამ, ბაჰაველა მავალფილი, ჯორჯ ნაღიბაძე, ბიორბი გოიფილი (სახაბერი, ჩიქაქტორი), ბიბი ჯაღაძე, ბიბი ზილაბანი, ბიბი ბაიანაძე.

თარულაქტორი ელა წაჭაფილა

მთაწარი რედაქტორი: გარემონიძე, სეპთა — ინფორმ. ტელეფ. 14, გვი. ბი. ჩიქაქტორის — 93-41-30, 93-98-15; აბს მადეი — 93-41-30, 93-98-15, აბს რედაქტორი — 93-98-15, გვი. 93-40-32, 93-98-19; 93-98-16.

გვიდეც მუშაუბე 1971-81 წ. თარულაქტორი: ბიბიბეჭე 15/11-81 წ. ქალღობის ზამთ 60X(19)წ, ფაბ. ნაბ. ფურც. 2პ, ტორატი 170.600 წყუბ № 169, „დილა“ № 4, ჟურნალ ალა მლადშეკლასნიკოვ. თ. გრუიშკომ ავიატ. გალინი რედაქტორი: მ. მაცაფარიანი. თბილისი, ყა. ლეილა, 14.

საბარტოველოს  
ალექ ცა-იხა  
და მ. ი. ლეიფინი  
სახელოზის  
პროფესორი  
ოკაბანიაძის  
კონსერვაფიკარი  
ნაბაქოს  
შარბადი  
შეიქმნისალა-  
ხელთაქტორის

გარემონიძე  
4-ე წელს  
საქ. კ. ცა-იხ.  
გარემონიძეობა  
Издательство  
ЦК-КП Грузии